№ 208 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ოფიციალური გაზეთი — ნელიწადი მესამე

ფასი 10 მან. სამშაბათი, სექტემბრის 14 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

კანტორისაგან.

ხელფასისა და ქაღალდის საგრძნობად გაძვირების გამო 1 სექტემბრიდან გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

ეღირება თვეში 200 მ. ცალკე ნომერი ყველგან 10 მ.

გაზეთი 1 სექტემბრიდან წლის ბოლომდე ღირს **800 მ.** ვისაც გაზეთი გამოწერილი აქვს ძველ ფასებში მან უნდა გამოგზავნოს დამატებითი ფასი თვეში 130 მანეთი, წლის ბოლომდე დასამატებელი 520 მანეთი.

საერთო განცხადების ფასი 1 გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მან., 4 გვერდზე 10 მან., ხოლო საბუთების დაკარგვის შესახებ განცხადებანი 160 მანეთი, სამოსამართლო უწყების სავალდებულო განცხადებანი 100 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომა (15×2) 300 მანეთი. ნისია განცხადების დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 პროც. კერძო პირების განცხადებანი **ნისიად არ დაიბეჭდება.**

უფასოდ განცხადებები არ დაიბეჭდება

და მათ შესახებ კანტორა არავითარ მიწერ-მოწერას არ მართავს.

სახელმწიფო თეატრი.

ბალეტის სკოლა

იღებს მოწაფეებს ვაჟ და ქალთ 9-დან 16 წლამდე. ჩაწერა შეიძლება თეატრის კონტორაში 11-დან 2 საათამდე.

გამოცდა 15 სექტემბერს.

878 1—1 სკოლის დირექტორი **მ. ი. პერინი**

ოფიციალური განყოფილება.

მთავრობის თავმჯდომარისაგან.

ცირკულიარული.

მინისტრებს, მათ ამხანაგებს, ერობათა და ქალაქთა გამგეობებს და მათი კავშირების კომიტეტებს და სახალხო გვარდიის მთავარშტაბს.

მრავალმა საჩივრებმა და პირადმა დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში საქმის წარმოება ვერ მიმდინარეობს სასურველი სისწრაფით და წესებით.

საქმის წარმოების გასაუმჯობესებლად და ხარჯების შესამცირებლად ვბრძანებ:

1) სახელმწიფო, საზოგადოებრივ დაწესებულებებში, ერობებისა და ქალაქების თვითმართველობებში მინიმუმამდე შემცირდეს მოსამსახურეთა შტატები.

შენიშვნა: დღიდან ამ ცირკულიარის გამოქვეყნებისა ქალაქთა და ერობათა თვითმართველობათა შტატების შესამცირებლად ეძლევათ ერთი თვის ვადა, რის შემდეგ, თუ ჩემი ბრძანება ამ ხნის განმავლობაში სისრულეში არ იქნა მოყვანილი, შტატების შემცირებას მოახდენს ამ საქმისათვის ჩემ მიერ დანიშნული განსაკუთრებული კომისია.

2) უწყებათა უფროსებმა მიიღონ ზომები, რათა მათდამი რწმუნებულ დაწესებულებათა მოსამსახურენი თავის დროზე ცხადდებოდენ სამსახურში.

3) მიღებულ იქნას ზომები მინისტრების, მათი ამხანაგების და უწყებათა სხვა უფროსების მთხოვნელთა მიერ ნახვის გასაადვილებლად.

4) ყოველგვარი შუამდგომლობა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებისა ან კერძო პირისათვის დროზე იქნას განხილული და პასუხი დაუგვიანებლივ მიცემული.

5) ჩემს მომართვებზე ან ბრძანებებზე პასუხი მომეცეს დაუყონებლივ.

6) სასტიკად აიკრძალოს ერთი თანამდებობიდან რაიმე დანაშაულობისათვის ჩათხოვნილ პირის მეორე თანამდებობაზე მიღება.

7) ქალაქებისა და ერობების თვითმართველობათა მიერ არ იქნას დაწყებული არავითარი ახალი საწარმოო საქმე ჩემს ნებადაურთველად.

13 სექტემბერი, 1920 წ., № 20.

მთავრობის თავმჯდომარე **ნიკ. ჟორდანია.**

მთავრობის საქმეთა მმართველი
კ. **ჯაფარიძე.**

განკარგულებანი

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოს უფროსისა.

16 აგვისტო, 1920 წ. № 44.

გაწესებულნი არიან: მოქალაქენი: არჩილ სარდიაშვილი, ნიკოლოზ რობაქიძე, გიორგი ამბრიაშვილი, გერასიმე ჩოგოვაძე და ყოფილი ფოსტალიონი ალექსანდრე გოგია ფოსტალიონებათ: ზარდიაშვილი, რობაქიძე და ამბრიაშვილი მეორე კატეგორიის ფოსტალიონებათ ტფილისის ფოსტაში, ჩოგოვაძე პირველი კატეგორიით ქუთაისში და გოგია პირველ კატეგორიით ფოთში. მოქალაქენი: ზურაბ წერეთელი, მატრონე მდელაძე, ნადეჟდა გვეტაძე, ნინო ბარნაბიშვილი, ნინო ხახანაშვილი რატმანოვა, მარიამ ქებულაძე და ყოფილი ფოსტალიონები მარიამ ფულარიანი, ელენე პატარაძე, ყოფილი მოხელეები: გეორგ ოსეპიანცი და ვარვარა მატინოვა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებათ: წერეთელი მეხუთე ხარ. და მგელაძე მეექვსეთი ბათომში: ფულარიანი და გვეტაძე ოზურგეთში მეექვსე ხარისხებით, ოსეპიანცი მეხუთე ხარისხით და მატინოვა მეექვსეთი ტფილისის ტელეგრაფში, ბარნაბიშვილი ენისელში მეექვსე ხარისხით, ხახანაშვილი ეკატერინოფელდში; პატარიძე და ქებულაძე მეექვსე ხარ. ქუთაისის ტელეფონის ქსელზე, ოსეპიანცი, მატინოვა, ბარნაბიშვილი, ხახანაშვილი 16 აგვისტოდან დანარჩენნი 21 აგვისტოდან, ხოლო მდელაძე თანამდებობის აღსრულებით.

დანიშნულნი არიან: გუდაუთის ფოსტალიონი გიორგი რეკვავა პირველ კატეგორიის ფოსტალიონათ იმავე კანტორაში, ბათომის ფოსტალიონი დიმიტრი ზურაბიშვილი მეექვსე ხარ. მოხელის თანამდებობის აღმასრულებლად იმავე კანტორაში. ოზურგეთის მოხელე ვლადიმერ ქართველიშვილი მეოთხე ხარ. მოხელეთ იმავე კანტორაში, შორაპნის განყოფილების მოხელე ვლადიმერ ვეშაპიძე, აბაშის კანტორის მოხელე სიმონ ლაბარტყავა და ბათომის კანტორის ფოსტალიონი კალისტრატე სარიშვილი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსებათ: ვეშაპიძე თერჯოლაში ლაბარტყავა სამიქაოში, სარიშვილი ბორჩხაში. აბაშის ზედამხედველი აბესალომ ჩიტია მალალი ჯამაგირის ზედამხედველად იმავე კანტორაში, ყველა 21 აგვისტოდან 1920 წელსა.

გადაყვანილნი არიან: ონის კანტორის მეექვსე ხარისხის მოხელე ნინო დადიანი, შულავრის მეექვსე ხარ. გურია ყიფიანი და ტფილისის მეოთხე ხარისხის მიხეილ ბიბილაშვილი იმავე წოდებებით თანახმად თხოვნებისა: დადიანი ქუთაისში ტელეფონის ქსელზე ყიფიანი ტფილისის ტელეგრაფში და ბიბილაშვილი ბორჯომში ყველა 21 აგვისტოდან 1920 წლისა.

გამორიცხულია მოსამსახურეთა სიებიდან მექვენის ზედამხედველი ვასილ მოსიძე სამხედრო სამსახურში მიღების გამო 6 აგვისტოდან 1920 წლ.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

დამატება № 27.

შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა.

ბორჯომის ქალაქის მილიციისა.

№№ რიგზე.	თანამდებობათა და გასაწევი ხარჯის სახელწოდება.	თანამდებობათა რიცხვი.	თვიური ჯამაგირი.		ყველას 1920 წ. იანვრის 1-დან ივლისის 1-მდე.
			თვითეულს.	ყველას.	
1	მილიციის უფროსი	1	2500	2500	12500
2	თანაშემწე	1	2200	2200	11000
3	საქმის მწარმოებელი	1	1800	1800	9000
4	უფროსი მილიციელი	1	1600	1600	8000
5	უმცროსი მილიციელი	16	1500	24000	120000
6	საკანცელარიო ხარჯი	—	—	500	2500
7	ბინის ქირა და გათბობა-განათება.	—	—	500	2500
	სულ . .	20	—	33100	165500

1920 წ. ივლისის 6-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება

საგზეადრო მინისტრისაგან

ვაცხადებ ცნობად და ვისდამიც ჯერ არს განკარგულებისათვის, რომ თანახმად მთავრობის დადგენილებისა ამა წლის 26 აგვისტოდან ის ჯარის კაცნი, რომელთაც საგანგებო სამხედრო სასამართლოების მიერ მისჯილი ჰქონდათ სხვა და სხვა ვადით კატორღა და რომელნიც თანახმად თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა გაიგზავნენ ფრონტზე, განთავისუფლებულ იქნას სასჯელისაგან პირობით, ე. ი. თუ აღნიშნულ ჯარის კაცებმა ჩაიდინეს სასჯელისაგან განთავისუფლების შემდეგ მგზავსი დანაშაულობა ან ბოროტმოქმედება, ისინი დასჯილნი იქნებიან იმ სასჯელით, რომელიც მათ მიუსაჯა საგანგებო სამხედრო სასამართლომ.

სამხედრო მინისტრი **გ. ლორ»ქიფანიძე.**

უცხოეთი

(გაზეთებიდან)

უაბარდოელების მოწოდება ბოლშევიკების წინააღმეგ.

უაბარდოელების დემოკრატიულ პარტიის კომიტეტის ყველა უაბარდოელის და ბალაკირებისთვის შიუმართია მოწოდებით, სადაც ჩრდილო კავკასიის მცხოვრებთ მოუწოდებენ ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. მოგვყავს ამ მოწოდებიდან ზოგიერთი ადგილები:

„მეოთხე წელიწადია რაც რუსეთში სამოქალაქო ომი სწარმოებს. შვილი მამის წინააღმდეგ წავიდა, ძმა-ძმის წინააღმდეგ. ილვრება სისხლი, ცეცხლით და მახვილით არის მოცული ყველა სოფლები. დენიკინელების უხეში ძალა შეიცვალა საბჭოთა მთავრობის ძალით. ბევრს ეგონა რომ ესენი დაამყვიდრებდენ ზავს, დაამყარებდენ საერთო მშვიდობიანობას, მაგრამ ბოლშევიკები დენიკინელებზე უარესნი გამოდგნენ. ძმობა ერთობის მაგივრად დაამყარეს ცრუ კომუნიზმის დიქტატურა. თავისუფლების მაგივრად—შებილწეს და ფეხქვეშ გასთელეს ისლამი, შარიატი ჩვენი საუკეთესო ადათები. პურს მონოპოლიას უკეთებენ, საქონელს, ძროხას—ნაციონალიზაციას. მშრომელი ხალხი იძულებულია მუქთახორა და მცონარე ხალხი აცხოვროს. რუსეთის ანარქია შესაძლებელია კიდევ რამოდენიმე წელს გაგრძელდეს და ჩვენ, მთიელთა პატარა ხალხი შეიძლება სრულიად დავიღუპნეთ, აღვიგაოთ დედამიწის ზურგიდან. ჩვენ უნდა ჩამოვშორდეთ ამისთანა ანარქიას, განზე გავდგეთ რომ ჩვენი ფიზიკური არსებობა შევინარჩუნოთ. ჩვენ უნდა დავაარსოთ მთიელთა ხალხის ჩრდილო-კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ყველა ის განაპირა კუთხეები, რომელიც ყოფილ იმპერიაში შედიოდნენ დღეს გამოეყვნენ რუსეთს და თავი გადაირჩინეს ბოლშევიკურ ანარქიიდან: საქართველო, სომხეთი, ფინლიანდია, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, ყირიმი: ყველა ესენი დღეს ცალკ-ცალკე რესპუბლიკებად არსებობენ და ცხოვრობენ თავიანთვის მშვიდობიანათ. პოლონეთი და უკრაინა სასტიკად იბრძვიან თავიანთ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად.

ჩვენ მთიელთა ხალხებმაც უნდა შევიგნოთ ჩვენი მდგომარეობა და მივბაძოთ ჩვენ მეზობელ და კეთილშობილ ხალხს“.

ბოლშევიკთა კომისრების დახვრეტა.

ტროცკის ბრძანებით ბალშევიკებმა დახვრიტეს მესამე წითელ არმიის შემდეგი კომისრები: გენერალი ვეჩნიკოვი, პოლიტიკური კომისარი მარკოვი, მთავარი ექიმი შვარ-

ცერი, ხაზინადარი ბუცკოვი და პროპაგანდის სექციის უფროსი სევასტიანოვი.

ენვერ ფაშა.

ტრაპეზუნდის გაზეთ „ისტიხბადის“ ცნობით ენვერ ფაშა ამ ჟამად იმყოფება მოსკოვში და როგორც ამბობენ საბჭოთა მთავრობა მას ერთ-ერთ დიდ თანამდებობას სთავაზობსო.

ლატვია და ბოლშევიკები.

საბჭოთა გაზეთების ცნობით ლატვიას და ბოლშევიკების შორის მომხდარა საზავო შეთანხმება. შეთანხმების გამო ბოლშევიკები ანთავისუფლებენ ქალაქ ვილნოს. ლატვიის წარმომადგენელებმა ბალშევიკებს წინადადებით მიჰმართეს, რომ ბოლშევიკებმა ლატვიაში თავიანთი კომუნისტური პროპაგანდა მოსპონ. ბალშევიკებმა აღუთქვეს თავიანთ პროპაგანდის შემოკლება მხოლოდ, რაც შეეხება თავიანთი იდეის გატარებას, ისინი წინააღმდეგნი არიან და ამბობენ, რომ ჩვენ ყოველთვის ვიბრძოლებთო.

ირლანდიის დელეგაცია.

ირლანდიის დელეგაციამ ლლოიდ ჯორჯს წარუდგინა მოთხოვნილება, რომლის ძალით ირლანდიას უნდა სრული ავტონომიური მმართველობა მიენიჭოს.

არეულობა ათინაში.

საბჭოთა გაზეთების გადმოცემით ათინაში არეულობა დაიწყო. არეულობას სარჩულად უდევს კონსტიტუციონალისტების და ვენიზელოსის მომხრეების უთანხმოება.

ჟენევის კონგრესი ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

ჟენევის საერთაშორისო სოციალისტურმა კონგრესმა ხმის უმრავლესობით ორის წინააღმდეგ დაადგინა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს ბოლშევიკურ პროგრამის გატარებას ევროპაში.

ბოლშევიკები დაღესტანში.

ბოლშევიკებს დაღესტანში მიუხედავათ დაღესტნის მცხოვრებთა წინააღადეგობის გაწევისა, მაინც ცდილობენ გაატარონ კომუნისტური პროგრამა. ბალშევიკების პროპაგანდა და ძალმომრეობა დაღესტანში ყოველ ზომას აღემატება. ამ ნიადაგზე ხშირად დაღესტნელების და ბოლშევიკების შორის ხდება შეტაკება. ბოლშევიკები რაც კი რამ მოიპოვება დაღესტანში ჩიდავენ რუსეთში. ამ მხრივ დიდი შევიწროება სურსათის უქონლობით. მანუფაქტურაც სრულიად არ იშოვება.

ლენინის სიტყვა.

„ვოლნი გორეცის“ უკანასკნელ ნომერში (53) მოყვანილია ცნობა, რომ ლენინს 1917 წლის 2 ქრისტეშობისთვის დისპუტში უთქვამს, რომ „ჩვენ არამც თუ მარტო ომს მოგულეთ ბოლო, არამედ რუსეთის მილიტარიზმიც გავანადგურეთო. ჩვენ რუსეთის ხალხს მივცემთ საშუალებას, რომ ბედნიერად იცხოვროს და არა დროს არ დასჭირდეს მუდმივი არმიაო“.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგ.)

მოსკოვის ცნობები.

სექტ. 11 გროდნოს რაიონში ჩვენმა ჯარმა აიღო დაბა კუზნიცა და მის სამხრეთ-დასავლეთით 15 ვერსზე დაიჭირა რამდენიმე სტრატეგიული ადგილები. ვოლკოვისკის რაიონში წამოვიყვანეთ 23 ტყვე და ხელში ჩავიგდეთ 1 ტყვიისმფრქვეველი. ბრესტ-ლიტოვის რაიონში ბრძოლა გრძელდება. ოპალინის სამხრეთ-აღმოსავლეთით 10 ვერსზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ. გრუბემოვის აღმოსავლეთით 5 ვერსზე ჩვენ 1 სოფელი ავიღეთ. ლვოვის რაიონში ცვალებადი ხასიათის ბრძოლა სწარმოებს. სასტიკი ბრძოლა სწარმოებს აგრეთვე ქ. რაიგაკინის ირგვლივ ამ ქალაქის ხელში ჩასაგდებათ.

მსოფლიო ბურჟუაზია და წითელი საფრთხე.

მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია სცდილობს შექმნას ერთი მთლიანი ფრონტი წითელი საფრთხის საწინააღმდეგოთ. ჩვენ კი რა უნდა გავაკეთოთ ამ დროს? სწრაფი და განმანადგურებელი იერიშის მიტანით უნდა დავუმტკიცოთ ჩვენს მტრებს თუ რამდენათ უსუსურია მათი იმედები. საბჭოთა რესპუბლიკას სურს ზავი. მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვს, მას შეუძლია მთელი მსოფლიოს წინაშე დაამტკიცოს თავისი ძლიერებაც. წითელ არმიელთა ხიშტები საკმარისია იმისთვის, რომ წრეებიდან სამუდამოთ განიდევნოს სხვა და სხვა ავანტიურისტული გეგმები, მაგრამ მარტო სამხედრო ფრონტის სიძლიერე არა კმარა იმისათვის, რომ მტერი დამარცხდეს: ამისათვის საჭიროა ქვეყანა მაძღარი იყოს. ეს კი თავისთავად მოითხოვს შრომის აღორძინებას. მთელი ჩვენი საუკეთესო ძალები სასურსათო საქმეებზე უნდა მივმართოთ და ყოველივე ღონით უნდა დავეხმაროთ სასურსათო ორგანოებს. მუშებს, წითელ ჯარს, ქალაქს, სოფლის ღარიბ ნაწილს საკვები. სანოვაგე საჭიროა. გახსოვდეთ, რომ მაძღარი და ძლევა-მოსილი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო სიკვდილია ბურჟუაზიისათვის.

რუმინეთი და საბჭოთა მთავრობა.

რუმინეთის მთავრობამ, საბჭოთა რესპუბლიკის ახალ წინადადებაზე მოლაპარაკების განახლების შესახებ, უპასუხა: რომ მასაც გულითა და სულით სურს საუკუნოებრივ მეზობლური დამოკიდებულების აღდგენა რუსეთთან და იმედს იძლევა მოკლე დროში აუწყოს შესაძლებელ შეთანხმების პირობები.

შლიაპნიკოვის დაპატიმრება.

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი ამბ. შლიაპნიკოვი შვეციის მთავრობამ დააპატიმრა, როდესაც ის სტოკგოლმიდან რეველში წასვლას აპირებდა. შლიაპნიკოვი ციხეში ზის.

იტალიის მუშათა დადგენილება.

იტალიის მუშათა ბელადებმა დაადგინეს: თუ მუშათა მოთხოვნილებები სავსებითა იქნა დაკმაყოფილებული, აღსდგებიან საერთო სოციალისტურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის.

პოლონელები და ვრანგელი.

პოლონელებმა ვრანგელის დახმარება უარყვეს. საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების განახლების გამო პოლონელებმა, მოკავშირეთა რჩევით, ვრანგელთან ერთად შეერთებულ მოქმედებაზე უარი განაცხადეს.

ლიოძინის ცნობები.

ფსიქოლოგიური ინსტიტუტი.

ფსიქოლოგიური ინსტიტუტი დირექტორთა საბჭოს მართველობის ქვეშ იქნება. საბჭოში შევა 5 პროფესორი: დედაკრუა, ჟორჟ დიუმა, ჟანნო, პიერონი ეტიენ, რაბო და დესანები: ფერდინანდ ბრინე და ფრანსუა გუსსე მეცადინეობის საგანი იქნება როგორც საერთო და ექსპერიმენტალური ფსიქოლოგია, აგრეთვე პედაგოგიური და შედარებითი ფსიქოლოგია.

მილერანი და ჯიოლიტი.

„პტი-პარიზიენ“-ის ცნობით მილიერანი და ჯიოლიტი საფრანგეთ-იტალიის პოლიტიკის დირექტივებს შეიმუშავებენ.

რუმინეთის მემკვიდრე.

რუმინეთის მემკვიდრე პარიზში მოვიდა, „მორინე პოსტის“ წარმომადგენელთან საუბრის დროს, მემკვიდრემ განაცხადა: მე მომხრე ვარ, რომ რუმინეთი მეზობელ სახელმწიფოებს დაუახლოვდესო.

არეულობა პეტროგრადში.

კოპენგაგენიდან იუწყებიან: პეტროგრადში მოხდა არეულობა, რამდენიმე სახალხო კომისარი მოჰკლეს და ნევაში გადაყარეს.

ნურა და ენვერ ფაშა.

კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან: ნურა და ენვერ ფაშა სარაბექირმა ციხეში ჩასვაო.

სპარსეთის ჯარი.

„ტან“-ის ცნობით სპარსეთის ჯარი ლოიტისკენ წინ მიიწევს.

საფრანგეთ-ბელგიის ხელშეკრულება.

საფრანგეთ-ბელგიის ხელშეკრულების საბუთი მოწოდებით შაბათს პარიზში გაიგზავნა.

ხალხთა ლიგა.

ლონდონიდან იუწყებიან: ხალხთა ლიგა მიმდინარე სხდომაზე, რომელიც მიმდინარე თვის 16 შესდგება პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტს განიხილავს.

ახალი ამბები

მიწად-მოქმ. სამინისტროში. მიწადმოქმედების სამინისტრო ბათომის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ახალშენის სანერგეს მოსავლელად დახმარებას პირდება. განზრახულია ლიმონების, მანდარინების და სხვათა სანერგეების გავრცელება. სანერგეების გაყიდვა განსაზღვრულ ფასში შეიძლება მიწად-მოქმედების სამინისტროს ნებართვით.

ბიდრო-ელექტრ. ხად. ქალაქის თვითმართველობის მიერ მიღებულია ზომები სადდგურის სასწრაფოდ ასაშენებლად.

ფოთის ელევატორი. დასრულდა № 1 ელევატორის შეკეთება. ელევატორი მოკლე ხანში დაიწყებს მუშაობს. ამით მარგანეცით დატვირთვა მეტად გაადვილდება.

ელექტრონის განათება მატარებლებში. მოძრავ შემადგენლობის მოსამსახურეებმა გზათა მიმოსვლის დეპარტამენტში აღძრეს საკითხი ელექტრონის განათების შემოღებისა შემდეგ მატარებლებში: №№ 9—10 და 11—12. წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნულია: ელექტრონის განათება ვაგონებში მით უფრო არის საჭირო, რომ იგი უზრუნველყოფს მოძრავ შემადგენლობას ცეცხლის გაჩენისაგან, და გარდა ამისა დაცული იქნება ერთგვარი ეკონომიაო. მაშინ, როდესაც სანთლებით განათება ჯდება 1 მილ. მანეთი ელექტრონით განათება მხოლოდ 410.000 მ. დაჯდებაო. მოხსენებაში შემდეგ აღნიშნულია: ელექტრონის განათების მოსაწყობად მუშაობა უკვე დაწყებულია და ერთი შემადგენლობა ელექტრონით განათებული მოკლე ხანში დაიწყებს მიმოსვლასო. დასასრულ აღნიშნულია საჭიროება განსაზღვრულ თანხის ვალების დაწყებულ მუშაობის დასამთავრებლად.

ქართველები პეტროგრადში. პეტროგრადიდან ჩამოსული პირი იუწყება: იმ პირების გარდა, რომლებიც გარეშე საქმეთა სამინისტროს სიაში იყო გამოცხადებული, პეტროგრადში კიდევ შემდეგი პირები სცხოვრობენ: ვ. ჯიჯია, ვ. გიორგაძე, დ. ჯგუშია, ა. დადიანი, ი. ცქირია, კაჭარავა, კაკაბაძე, ს. ყიფიანი, მაჭავარიანი, აბულაძე, მათვეევი, გოგობერიძე, მეტრეველი და დგებუაძე. აღნიშნული პირები ჯანმრთელად არიან და საქართველოში წამოსვლას ეპირებიანო.

რუსთა ეროვნული საბჭო და ბოლშევიკები. რუსთა ეროვნულ საბჭომ ამავე საბჭოს ბინაზე მოთავსებულ კომუნისტებს ოფიციალური ბარათით მიმართა. მიმართვაში აღნიშნულია, რომ ბოლშევიკების საბჭოს ბინაში ყოფნა იწვევს ჩვენდამი უნდობლობას, ეჭვებს და უსიამოვნებას. დასასრულ საბჭოს ბრალს სდებენ ნაციონალიზმსა და რუსულ იმპერიალიზმისთვის. ამ ბინაზე ბოლშევიკთა დარჩენა საბჭოს არ მიაჩნია შესაძლებლად, ვინაიდან ასეთი მდგომარეობა ამზადებს ნიადაგს დემაგოგიისა და პროვოკაციისათვის. რუსთა ეროვნული საბჭო აღნიშნავს, რომ მათ შეუძლიანთ ამ ბინიდან კომუნისტების გაძევება, მაგრამ, შეუწყნარებლად მიაჩნიათ თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგის წინააღმდეგ ადმინისტრატიული ზომების ხმარება. ბოლოს რუსთა ეროვნული საბჭო კომუნისტებს ბინის დაცლას სთხოვს.

ქართულ-ფრანგული სავაჭრო პალატა. ქართულ-ფრანგულ სავაჭრო პალატის საბჭომ დაადგინა: აირჩიოს პალატის საპატიო წევრად ამიერ-კავკასიაში მყოფი საფრანგეთის უმაღლესი კომისარი გრაფი დე-მარტელი. ამასთანავე პალატის პრეზიდიუმს დაეკალა წარუდგინოს დე-მარტელს საგანგებო მემორანდუმი საქართველოს და საფრანგეთის შორის ვაჭრობის გაერთიანების შესახებ.

ერობათა კავშირი. ერობათა კავშირის კომიტეტმა დაადგინა: ჩაეწეროს წევრად ქართულ-ფრანგულ სავაჭრო პალატაში.

შავი ქვის ექსპორტი. „ჩემო“-სა და შრომის სამინისტროს წარმომადგენელთა თათბირზე დაადგინეს: ნავთსადგურისა და რკინის გზებზე ზაფხულობით მუშაობა იწყებოდეს დილის 6 საათზე და თავდებოდეს ნაშუადღევის 4 საათზე. ზამთრობით დილის 7 საათზე და თავდებოდეს საღამოს 5 საათზე. სასადილოთ ორი საათის დასვენებით. დრო მარტის 1-დან და ოქტომბრის 13 ზაფხულათ ითვლება.

ქართველები ტურქესტანში. ტფილისში ჩამოსულ ტურქესტანის ქართველთა დელეგაციის ცნობით თურქესტანში ამ ჟამად 3.000 ქართველი მოქალაქე ცხოვრობს. ვინაიდან ქართველთა დიდი უმრავლესობა საქართველოში დაბრუნების დიდი მსურველია, ამიტომ მათ საქართველოში ჩამოსაყვანად ზომები არის მიღებული. უკანასკნელ ხანამდე ქართველთა მდგომარეობა მეტად მძიმე იყო, მხოლოდ საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ ადგილობრივი ბოლშევიკები ქართველებს უფრო კარგად ეპყრობოდენ. თვით ადგილობრივ მცხოვრებთა ერთი ნაწილი ბოლშევიკებს მტრულად უყურებს, მეორე ნაწილი კი გულგრილად არის განწყობილი.

მომარაგების სამინისტროში. მომარაგების სამინისტრომ 10.000 ფუთი მარილი შეისყიდა. ფოთში მომარაგების სამინისტროს კუთვნილი 33.000 ფუთი ქერი მოვიდა. მომარაგების სამინისტროს მისამართით ამ დღეებში ფოთში 35.000 ფუთი ამერიკული ფქვილი შემოიტანეს.

რუსთა ეროვნულ საბჭოში. საქართველოში არსებული რუსთა ეროვნული საბჭო ლაგოდეხის რაიონში მდებარე რუსების სოფლებში ხორბლის დამზადებას შეუდგა. დამზადებულ ხორბალს საბჭო მომარაგების სამინისტროს განკარგულებაში გადასცემს. სასურსათო განყოფილებამ მიიღო ქვანახშირის ფხვნილი, რომელიც უახლოეს დღეებში წარმოებათა შორის იქნება განაწილებული. სასურსათო განყოფილებას იმედი აქვს, რომ მომავალში იგი წარმოებებს ნახშირს რეგულიარულად მოაწოდებს.

დახმარება კოოპერაციას. სახელმწიფო ბანკმა კოოპერატიულ ბანკს სესხი 10 მილ. მანეთამდე გაუდიდა.

საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა. საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატამ წარუდგინა გარეშე საქმეთა სამინისტროს ვაჭრობა მრეწველობის მდგომარეობის შესახებ ცნობები. ეს ცნობები რუსეთში მიმავალ დელეგაციას გადაეცემა.

მოხსენება. უცხოეთიდან დაბრუნებული დამფუძნებული კრების წევრი გვაზავა და სავაჭრო სამრეწველო პალატის წევრები რ. დათეშიძე და ქავთარაძე ამ კვირაში სავაჭრო სამრეწველო პალატის წევრებს დასავლეთ ევროპის ეკონომიურ მდგომარეობასა და საქართველოს საგარეო ვაჭრობის პერსპექტივების შესახებ მოხსენებას გაუკეთებენ.

ებრაელების უქმე დღეები. შრომის სამინისტრო იუწყება ყველა კერძო და სახელმწიფოს დაწესებულებათა საყურადღებოთ რომ მათ უნდა გაანთავისუფლონ ებრაელი მოსამსახურენი სამსახურიდან ებრაელთა ნაციონალურ უქმეების გამო 13 და 14 სექტემბერს, თუ ეს ხელს არ შეუშლის დაწესებულების მუშაობას. ამას გარდა ამ დღეებისთვის განთავისუფლებული მუშა-მოსამსახურენი ხელფას აღარ იღებენ. იმ ებრაელ მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც კერძო სამსახურში იმყოფებიან შეუძლიანთ არ იმუშაონ, მაგრამ ხელფას კი ვერ აიღებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერინარ-სანიტარული განყოფილების გამგე ვლაშხაური 12 სექტემბერს გაემგზავრა თელავის მაზრაში გაჩენილ საქონლის ჭირის საწინააღმდეგოთ ადგილობრივ ორგანიზაციების მოსაწყობად და მთელი რიგი სანიტარულ ზომების მისაღებად.

საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა. ბ-ნ განათლების მინისტრის თანხმობით და მოწონებით საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა მხატვრულ-მეცნიერულ მიზნით აწყობს მთელი მხატვრობის სურათების გამოფენას. ამიტომ გალერეის ადმინისტრაცია სთხოვს უმორჩილესად ყველას, (როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში), ვისაც კი რაიმე სურათი აქვს „ძველი ქართული, სპარსული ან ევროპიული მხატვრობისა, აგრეთვე მინიატიურები და გრავიურები, კეთილ ინებონ და წარმოადგინონ გამოფენისათვის ეროვნულ სამხატვრო გალერეის შენობაში, რუსთაველის პრ. № 13 ტელეფ. 5-96. სურათები მიიღება 15-25 სექტემბრამდის დილის 10-2 საათ. და საღამოს 5-6 საათამდის. გალერეია გარანტიას იძლევა სურათების დაცვის და ხელშეუხებლობისათვის. თუ რომელიმე სურათი ამორჩეული, მოწონებული და შეფასებული იქნება სპეციალურ მხატვრულ კომისიის მიერ ეროვნულ გალერეასათვის, შეძენილ იქნება გალერეის მიერ მხოლოდ პატრონთან შეთანხმებით.

შინაგან საქმეთა მინისტრის დაბრუნება. ტფილასში დაბრუნდა შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი, სექტემბრის 2.

ქალაქის მცხოვრებთა აღწერა. სექტემბრის 14, დილის 11 საათზე მიწათ-მოქმედების სამინისტროში შესდგა ცენტ. სტატისტიკური საბჭოს სხდომა მცხოვრებთა აღწერის ტ სხ. საკითხთა შესახებ, როგორიც არის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, სტატისტიკოსთა ყრილობის მოწვევა, საშუალო კომისიის მოხსენება და 1920 წ. შემოდგომაზე სამეურნეო ანკეტის მოხდენა.

ევროპის სოც. დელეგაცია

ბაქანზე გასასვლელი ბილეთები. ცენტრ. კომისია სთხოვს გაზ. რედაქციებს იზრუნონ და შეიძინონ კომისიისაგან ბაქანზე გასასვლელი ბილეთები.

ბუნდის თხოვნა. ცენტრ. კომისიამ ბუნდის ცენტრ. კომიტეტისაგან და სომხეთის სახალხო პარტიისაგან მიიღო განცხადება, სადაც აღნიშნული პარტიები სურვილს გამოსთქვამენ დელეგაციის შეხვედრაში მონაწილეობის მიღებაზე.

ბილნალი. სილნალის ერობამ ცენტრ. კომისიას თხოვნით მიმართა: მიიღოს ზომა, რომ ევროპის დელეგაცია სილნალში მივიდეს.

დელეგაციის ბინა. დელეგაცია მოთავსებული იქნება პეტრე დიდის ქუჩაზე მელიქოვის სახლში.

კინემატოგრაფიული სურათების გადაღება. ცენტრ. კოოპ. კავშირმა კინემატოგრ. სურათების გადაღების მოწყობა თავისთავზე მიიღო. ბათომში გაიგზავნა სპეც. კომისია, რომელმაც დელეგაციის ჩამოსვლის სურათი უნდა გადაიღოს.

სექტ. 14 დილის 9 საათზე შესდგება კომისიის პლენუმის სხდომა ევროპის დელეგაციის შეხვედრის და მიღების შესახებ. კომისიის წევრებს სთხოვენ აუცილებლად დაესწრონ.

ბილეთების მიღება. სექტ. 14 დილის 11 საათზე დაიწყება სადგურის ბაქანზე გასასვლელი ბილეთების მიღება. საზოგადოებრივ და პოლიტ. ორგანიზაციებს სთხოვენ მოვიდენ ბილეთების მისაღებათ.

დელეგაციისათვის სპეც მატარებელი. ევროპის სოც. დელეგაციისათვის სპეციალური მატარებელი ბათომში უკვე გაიგზავნა. ამ მატარებელით დელეგაციის შესახვედრათ წავიდენ დამფ. კრების წევრები ი. რამიშვილი და ვ. ფალავა.

დელეგაციის შეხვედრა ბათომში. შესდგა ევროპის დელეგ. შესახვედრი კომისიის სხდომა. დაესწრნენ: ქალ. თავი ანჯაფარიძე, პრ. კავშირთა სეკრეტარიატის თავმჯდომარე აიოლო, თავმჯდომარეს ამხანაგი ნაკაშიძე, თვითმართველობის თავმჯდომარე რამიშვილი და სხ. დაადგინეს: ბოაწყონ მუშათა სასახლე ყვავილებითა და შენობის წინ გააკეთონ თაღი. მთელი ქალაქი დროშებითა და ყვავილებით იქნება მორთული. ქალ. თვითმართველ. თაღი აღმართული იქნება მარინეს პროსპექტ. და დუნდუკო-კორსაკოვის ქუჩ. დელეგაციის შეხვედრის დღეს მუშაობა ქალაქში შეჩერებული იქნება. დელეგაციის შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს პროფ. კავშირთა წევრები, სახალხო გვარდია მთელის შემადგენლობით და იარაღით მიიღებს მონაწილეობას შეხვედრაში. გაიცა განკარგულება გირლიანდეების დასამზადებლად.

პროფეს. კავშირთა გამგეობაში

სექტემბრის 12-ს მოხდა კავშირთა გამგეობის და საქარხნო კომიტეტების შეერთებული სხდომა ალ. ხელაძის თავმჯდომარეობით. სხდომას დაესწრო 22 კავშირის წარმომადგენელი სულ 200-მდე, და შრომის მინისტრის ამხანაგი ბახტაძე. სხდომის მიზანი იყო დელეგაციისთვის ინსტრუქციის შემუშავება.

ამხ. ხელაძემ წაიკითხა ნაკაზი ქართულ და რუსულ ენაზე და აღნიშნა, რომ ჩვენმა დელეგაციამ უნდა იხელმძღვანელოს ამ ინსტრუქციით. ის შეეხო რუსეთის და საქართველოს მდგომარეობას რევოლიუციის შემდეგ და აღნიშნა რომ თუ ეს ორი კეთილმეზობლურათ განწყობილი ქვეყანა ვერ შეთანხმდენ და ვერ წავიდენ ერთის და იმავე გზით. ამაში დამნაშავეა მხოლოდ ცხოვრების პირობები მაგრამ ჩვენი დელეგაცია არ უნდა შევიდეს იმის გარჩევაში, თუ რომელი გზა უფრო სწორი და მისაღებია ჩვენი თუ მათი. ჩვენი დელეგაციის მიზანია გაცნობა რუსეთის სინამდვილის ყოველმხრივ, გაცნობა რუსეთის მუშათა მოძრაობის, აგრარული, და ეკონომიური საკითხების. გარდა ამისა ამ დელეგაციას ევალება თავის მხრით გააცნოს რუსეთს საქართველოს პროლეტარიატის ნამდვილი სახე, საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა, მუშათა კანონმდებლობა და აგრარული რეფორმა საქართველოში.

რამოდენიმე შეკითხვის შემდეგ სიტყვა მიეცა დელეგაციის მდივანს ამხ. ის. რამიშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ დელეგაციის მიზნები უკვე საკმაოთ ნათლად არის განმარტებული ამხ. ხელაძის მიერ. დელეგაციას არ შეუძლია იმოქმედოს ამ ფასახული მიზნების გარეშე. დელეგაცია უნდა გამგზავრებულიყო ორი კვირის წინად, მაგრამ ეს არ მოხერხდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ის დაუღალავათ მუშაობდა ამ ხნის განმავლობაში, კრეფდა ყოველგვარ ცნობებს საქართველოს მდგომარეობის შესახებ რომ პირნათლად შეესრულებია თავის მოვალეობა.

მართალია მუშათა დელეგაციას გაუძნელდება მუშაობა, მაგრამ პროლეტარიატი არასოდეს არ უფრთხის სიძნელეს და დაბრკოლებას. რუსეთის და საქართველოს პროლეტარიატი გაუწვდიან ერთმანეთს ძმურ ხელს და ერთად წავლენ სოციალიზმისკენ. ახლოა წეთი როდესაც იმპერიალისტურ ომით გამოწვეული ცეცხლი იმდენად გაძლიერდება რომ შთანთქავს იმპერიალიზმს და გაამეფებს სოციალიზმს.

რამიშვილის სიტყვის შემდეგ შეიქნა მსჯელობა „ნაკაზის“ გარშემო. ილაპარაკეს: დობორჯგინიძემ, მელიქაძემ, კოსოლიოვმა და დგებუაძემ. თავმჯდომარემ დასვა საკითხი „ნაკაზის“ მიღების შესახებ. ის მიღებული იქნა და გადაეცა რედაქციულ შესწორებების შესატანათ აღმას. კომიტეტის პრეზიდიუმს.

მ. კ. ზაალიშვილი

კვირას, 12 სექტემბერს დაასაფლავეს მიხეილ ყარამანის ძე ზაალიშვილი. დილის 9 საათზე მე-4-ე გიმნაზიის შენობაში თავი მოიყარა მრავალმა ხალხმა. მცირე პანაშვიდის შემდეგ გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოს სახელით მასწავლებელმა მ. იასტრებოვმა და მშობელთა წრის თავმჯდომარემ მ. აგაჯანოვმა წარმოსთქვეს სიტყვები, რომელთაც ნათლად დაახასიათეს განსვენებულის პიროვნება, როგორც კეთილი ადამიანი, კარგი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. პანაშვიდს დაესწრნენ განათლების მინისტრის ამხანაგი ნ. ცინცაძე, სახალხო განათლების სასწავლებლის მთავარ გამგეები, დამფუძნებელ კრების წევრნი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თავმჯდომარე გ. ყაზბეგი და სხვა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოების წარმომადგენელნი. ცხედარი განსვენებულ იქმნა დიდუბის ეკლესიაში და დასაფლავებული საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. სამარესთან წარმოსთქვეს სიტყვები: განსვენებულის მოწაფეებმა, სტუდენტებმა და სხვებმა. კუბის ამკობდა მრავალი გვირგვინები.

რკინის გზებზე

რკინის გზის გაყვანის გეგმა.

გზათა უწყების დეპარტამენტის დირექტორმა ჭიჭინაძემ შეადგინა მოხსენება რკინის გზის ამშენებლობის გეგმების შესახებ. მოხსენებაში ჭიჭინაძე აღნიშნავს შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის ხაზის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ამ რკინის გზის გასაყვანათ ნახევარი მუშაობა უკვე შესრულებულია. ამ გზის უმთავრესი დანიშნულება სპარსეთსა და შუაგულ ევროპის შორის არსებული გზის შემოკლება არის. შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის პროექტით ქერჩის სრუტეში რკინის ხიდის გაკეთება იყო განზრახული. ამ გზას ასეთი მიმართულება უნდა ექნეს: ახალსენაკი, ზუგდიდი, ოჩემჩირე, სოხუმი, გუდაუთი, გაგრა—სოჩა—ტუაპსე—ეს მიმართულება ძალიან ამოკლებს ამიერ-კავკასიის და განსაკუთრებით დასავლეთ და რუსეთის შორის არსებულ გზას. ამ გზით გადატანილი იქნება დიდძალი საქონელი თუმცა მას შეეცილება კავკავ—ტფილისის საუღელტეხილო რკინის გზა, ვინაიდან უკანასკნელი გზა გაივლის აღმოსავლეთ საქართველოსა, სომხეთის და სპარსეთის ტერიტორიაზე. შავი ზღვის სანაპირო რკინის გზა ამ გზასთან გადაინასკვება. ამ გზის გაყვანას საქართველოსთვის უაღრესი მნიშვნელობა ექნება, ვინაიდან ის ხელს შეუწყობს მეურნეობის გაუმჯობესებას, მრეწველობის აყვავებას და მადნეულობის დამუშავებას. შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის რაიონი დღეს ნაკლებათ არის დასახლებული. სოჭის ოლქში ერთ კვადრატ ვერსზე 7 მცხოვრები მოდის, სოხუმის ოლქში 23, ზუგდიდის მაზრაში 55, სენაკის მაზრაში 74. მომხსენებელი აღნიშნავს: მთავრობა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ყოველ ღონისძიებას ღებულობს ზემოდ აღნიშნულ გზის გასაყვანადო. დიდი მეცადინეობით იქმნა რკინის გზის მოძრაობა დაწყებული ხეთამდი და ახლა ზომებია მიღებული ამ გზის ზუგდიდამდი გაგრძელებისათვისაც. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს საუღელტეხილო გზის მნიშვნელობას. ამ გზის პროექტი დამფუძნებელ კრებას გადაეცა განსახილველად. განზრახულია მამისონის უღელტეხილით მეორე საუღელტეხილო რკინის გზის გაყვანაც. ეს რკინის გზა შავ ზღვას თერგის ოლქთან შეაერთებს. გზა დაიწყება კოპიტნარით და გაიარს ქუთაისზე. საქართველოს ტერიტორიაზე გასავლელი ამ გზის მიმართულება უკვე გამოკვლეულია. განზრახულია აგრეთვე ბორჯომ ყარსის რკინის გზის გაყვანა, 210 ვერსის სიგრძეზე, ბათომ ყარსის 348 ვერ. ბათომ ტრაპენზუდის საქართველოს ტერიტორიაზე 45 ვერ. განზრახულია აგრეთვე შემდეგი შტოების გაყვანა. შუა კავკასიის რკინის გზა წნორის წყლიდან, ბაქოს მიმართულებით, გორი—ცხინვალის, გორის—გომის, ნატანებ—ოზურგეთის, ოზურგეთ—ნაგომარ—ჩოხატაურ—საჯავახოს, აჯამეთ—ბაღდადის, ოჩემჩირ კვარჩელის, ხონი—ქუთაისის, ხონი სამტრედიის და სხვათა.

ფოსტა-ტელეგრაფში

სია ჩაუბარებელ დეპეშებისა

10 სექტემბრისა.

1) ადგილობრივი—კომბეტოვს; 2) კარაკლისიდან—პირუმოვს; 3) ყარსიდან—აღაბაბოვს; 4) სოხუმიდან—დაროვს; 5) ალექსანდროპოლიდან—მარტიროსოვს; 6) წაღვერიდან—პოპოვს; 7) სოხუმიდან—მესხის; 8) წაღვერიდან—ქავთარაძეს; 9) ეჩმიაძინიდან—ავეკიანცს; 10) კამარლუდან—აბგაროვს; 11) ველისციხიდან—აბაშიძეს; 12) ბათუმიდან—ანდრიადის; 13) ერევნიდან—დაგვსოვს; 14) გორიდან—ნონიკაშვილს; 15) ბათუმიდან—ფაციევს; 16) ხაშურიდან—მელიკ-ფაშაევს; 17) ეჩმიაძინიდან—ათაბეკოვს; 18) შულავერიდან—ვაჩნაძეს; 19) ყარსიდან—არუთინოვის სახლი არსენას; 20) კალაგერანიდან—სააკიანცს; 21) ჯელალოღლიდან—ისპაღლოვს; 22) ასურეთიდან—ხორომელიძეს; 23) ნიგოითიდან—კუერსკის; 24) წაღვერიდან—ურადოვს.

მილიციაში

— 11 სექტემბერს დილის 9 საათზედ სალდათის ბაზარზე სისხლის სამართლის მილიციამ დაიჭირა ბოროტ-მოქმედების დროს ჯიბის ქურდი სურენ ავეტისის ძე ნერსესოვი. ჯიბგირს უნდოდა გრიგოლ ასლანის ძე ქართველიშვილისთვის ამოეცალა ჯიბიდან ფული, მაგრამ ვიდრე ხელს ჯიბეში ჩაუყობდა ნერსესოვი დაჭერილ იქმნა. ნერსესოვმა განაცხადა, რომ სიმშილმა აიძულა ამ ბოროტმოქმედებაზე წასულიყო. საქმის გამოძიება სწარმოებს.

— აგვისტოს 12-ს ვასილ მიხეილის ძე ედიგაროვის ბინაზე (ეგზარხოსის ქუჩა № 6) მოიპარეს ოჯახის სხვა და სხვა ნივთები ღირებულობით 95.000 მანეთის. სისხლის სამართლის მილიციის მიერ მიღებულ ყველა მოპარული ნივთები აღმოჩენილ იქმნა და პატრონს გადაეცა. მილიციამ დააპატიმრა ივანე დავითის ძე ბეროშვილი, რომელიც ბოროტმოქმედებაში გამოტყდა. მასთან ერთად დაჭერილ იქმნა ამ საქმეში მისი ამხანაგი არუთინ მინასის ძე ტერ-ტომასიანცი. ორივე დამნაშავენი დაპატიმრებულნი არიან და პასუხის გებაში მიცემულნი.

ცნობები

გადამდებ სნეულებიან ავადმყოფთა შესახებ ქ. ტფილისში 1—7 სექტემბრამდე 1920 წ.

		ტ ი ფ ი									
		პარტახტ.	მუცლის	შემცველთი	ყვავილი	წითელა	დიფტერიტი	ქუნთრუშა	დენტერია	ხოლერა	სულ
სწამლობენ ქალაქის პირველ საავადმყოფოში.	იყო 1-ლ სექტემბერს	—	7	3	5	6	1	1	1	6	30
	მიღებულ იქმნენ	1	8	2	1	—	1	—	—	22	35
	გამოეწერა	1	—	—	1	6	1	—	—	3	12
	გარდაიცვალა	—	—	—	1	—	—	—	—	4	5
	რჩებიან 8 სექტემბრ.	—	15	5	4	—	1	1	1	21	48
ტფ. საგუბერნ. საბყრობილის საავადმყოფოში		—	—	3	—	—	—	—	—	—	3
სამლობენ სახლში		—	—	—	—	—	1	—	—	—	—
აღნუსხულია სულ ავადმყოფი		1	8	5	1	—	2	—	—	22	39

მედიკო-სანიტარული ინსპექტორი **მეუნარგია.**

ბანცხადებანი

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი სტეფანე თომას ძე ტატალაშვილის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1917 წ. რეესტრით № 574. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2666 3—3

დაიკარგა პასპორტი № 25 ბერი ათანასეს სახელზე, მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან და რკ. გზის დუბლიკატი ტფილის-თელავის ცხრა ფუთ ბალანს გაუქმებულად ჩაითვალოს. 2667 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მოწმობა, № 3033 ლევან ივანეს ძე ზავრატაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2683 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან 11|V 1920 წ. № 4252 სიმონ სოლომონის ძე შპარბეძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2671 3—3

დაიკარგა ქუთაისის რეალურ სასწავლებლის დამთავრების 1906 წ. ატესტატი და მოწმობა კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ფედოროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს 2661 3—3

დაიკარგა ოთხი კლასის მოწმობა № 61 მარიამ ურუშაძის სახელზე, მიღებული ხონის ვაჟთა გიმნაზიიდან 1915 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2658 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 880 მართა მიტროფანის ასული უდალოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2663 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი სვიმონ სვიმონის ძე ღვთისავრიშვილის სახელზე, მიღებული ახალციხის ხაზინიდან 1902 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 885 3—3

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა მიღებული ტფილისის სათავად აზნაურო გიმნაზიიდან 1915 წ. ივანე იაკობის ძე მღებრიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2670 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურათით № 1196 მილიციონერ ალისტარ ივანეს ძე ერაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2660 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი არდაგანის შესახვევში მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის მიხეილ თვაურს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2682 3—2

დაიკარგა პასპორტი ნიკოლოზ გიორგის ძე ბეგთაბეგოვის სახელზე, მიღებული ტფილისის დეპუტატთა საკრებულოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2685 3—2

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიკარგა ძველი ავეxეულების ვაჭრობის ნებართვა, მიღებული ქალაქის გამგეობიდან ჰასპორტი, მიღებული ესპანელების საკონსულოდან ტფილისში და სხვა საჭირო საბუთები. მისაკ სედრაკის ძე ავაკიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2677 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა სოლომონ იავორის ძე ლოლაძის სახელზე, მიღებული, ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2678 3—2

დაიკარგა პასპორტი მიხეილ პეტრეს ძე იაკუშევსკის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციი უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2686 3—2

დაიკარგა 1920 წ. ფოთის ვაჭთა გიმნაზიის დამთავრების ატესტატი შალვა ვასილის ძე გორგაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2690 3—2

დაიკარგა ტფ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მოწმობა გიდრო მექანიკური ფაკულტეტის სტუდენტის ბარის ილიას ძე ფრიმერმანის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2652 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა ავეტის გასპარის ძე სარქისიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2659 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 243 სედრაკ მიკირტიჩის ძე პუჩინიანცის სახელზე, მიღებული ქ. ბათომის მილიციის უფროსისგან. 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2655 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა აბრამ ალექსანდრეს ძე აბრამიანცის სახელზე, მიღებული ირკუცკის სამმართველოსგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2669 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურათით მილიციონერი ალექსანდრე დეკანოზიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2696 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან გათავისუფლების მოწმობა № 497, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან იასონ ხაჩიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2700 3—1

დაიკარგა რესტორანის ნებართვა № 1034 აქვენტი სვანიძის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2702 3—1

დაიკარგა პასპორტი № 611 რაფიელ სამსონის ძე მალაიანცის სახელზე, მიღებული სომხეთის წარმომადგენელისაგან საქართველოში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2703 3—1

დაიაარგა დროებითი მოწმობა ალექსანდრე გრიგოლის ძე ჩეჩენოვის სახელზე, მიღებული 1 სამილიციო კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს 2704 3—1

დაიკარგა ბრაუნინგის სისტემის რევოლვერი № 275081 მისი ნებართვით, მიღებული კავშირი „მწყემსი"-საგან და სხვა საჭირო საბუთები—ბაგრატ მიხეილის ძე კაშკელაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2707 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი სურენ გრიგოლის ძე მარტიროზოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2692 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული, მე-6 კომისარიატიდან ქ. ბაქოში, სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ქუთაისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან დიმიტრი (იგივე ვიქტორ) გაბრიელის ძე ბალანჩივაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2694 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან გათავისუფლების მოწმობა, მიღებული ალექსინდროპოლის სამხედრო საკრებულოდან, მაღაზიის პატენთი და ექვსი თვის ვადიანი საქართველოში წასასვლელი მოწმობა № 13593, მიღებული საქართველოს საკონსულოდან სომხეთში—არტაშეს არიუტინას ძე პოღოსიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2695 3—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 10—28 მაისს, 1920 წ. საქმე გარდაცვალებ. 14 ოქტომბერს 1919 წ. გევორქ გაბრიელის ძის გევორქოვის ნოტარიალურ სასულ. ანდერძის დამტკიცების შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას. 0584 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 1920 წ. საქმე გარდაცვალ. 1 ნოემბერს 1910 წ. ალექსანდრე სიმონის ძე მესხიშვილის (მესხიევის) ნოტარ. სასულ. ანდერძის დამტკიცების შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას. 0563 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 24—28 ნოემბერს 1919 წ. საქმე გარდაცვალებულის 8 აგვისტოს, 1919 წ. ნიკოლოზ იერიმეის ძე კოვალსკის ნოტარიალურ სასულიერო ანდერძის დამტკიცების შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას. 0560 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 23 ივლისს 1920 წ. საქმე გარდაცვალ. 7 მაისს, 1920 წ. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ტერრ პარტუგიმევოსიანცის ნოტარიუსის სასულიერო ანდერძის დამტკიცების შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას. 2539 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 13 დეკემბერს 1919 წ. საქმე გარდამარიამობ. 1918 წ. ალექსანდრე ლევანის ძე ჯაფარიძის შინ. სასულ. ანდერძის დამტკ. შესახებ. დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას. 2016 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 25 ნოემბერს 9 დეკემბერს 1918 წ. საქმე გარდაცვალ. 18 ენკენისთვე 1918 წ. ოსანა გიორგის ასულის ონიკომის ნოტარ. სასულ. ანდერძის დამტკიც. შესახებ, დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას. 2139 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 15 მარტს 1920 წ. საქმე გარდაცვალ. 7 ენკენისთვე 1919 წ. გრიგოლ სტეფანეს ძე ვარტანოვის ნოტ. სასულ. ანდერძის დამტკ. შესახებ. დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას. 2319 1—2

ქ. ტფილისის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ვალენტინა ალექსანდრეს ასულ ივანოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ივანოვის ქონებაზედ. სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 2705 1—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ალექსი იაკობის ძე ბურავლიევმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი მარიამ ნიკოლოზის ასული, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1903 წ. უკვალოდ დაიკარგა 1914 წლიდან, რის გამო თხოულობს მისგან განქორწინებას, ყველა ვინც დაკარგულ მარიამ ბურავლიოვის მისამართი იცის, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 2621 1—1

ტფ. საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 30 ივლის 1920 წ. საქმე გარდაცვალ 6 აპრილი 1920 ელენე მიხეილის ასული ჩერნიკოვის ნოტარ სასულიერო ანდერძი დამტკიცების შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას. 2075 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 30 სექტემბერს 1920 წ. საქმე გარდაცვალ. 30 აპრილს 1919 წ. დიმიტრი გიორგის ძე ფირალაშვილის შინ. სასულიერო ანდერძის დამტკიცების შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქნას. 0585 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 28 იანვარს 1920 წ. საქმე გარდაცვალებულ 26 ოქტომბერს, 1919 წ. კეკელა დავითის ასულის ბაირახტაროვის ნოტარიალურ სასულიერო ანდერძის დამტკიცების შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქნას. 0586 1—1

ტფილისის საოლქო სასამარლომ მოისმინა რა 28 იანვარს 1920 წ. საქმე გარდაცვალ. 14 ოქტომბერს 1919 წ. ილია აპოლონის ძე აპოლონოვის ნოტარიალურ სასულიერო ანდერძის დამტკიცების შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქნას. 0564 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 11 ივნისს 1920 წ. საქმე გარდაცვალებულის 3 თებერვალს 1920 წ. გარდაცვალ. ქრისტეფორის ძე დელიანოვის ნოტარიალურ სასულიერო ანდერძის დამტკიცების შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქნას. 0559 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 15 მარტს 1920 წ. საქმე გარდაცვალებულის 8 დეკემბერს 1919 წ. ივანე ვაეტალოვის ძე ლონგრსი ნოტარ. სასულ. ანდერძის დამტკიც. შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას. 2265 1—1

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსებული პირველი ქართული ბუხჰალტერიის კურსები ალ. გ. საათაშვილისა (წელიწადი მეოთხე) ყველა საგნები სპეციალურად ქართულ ენაზეა. პირობების გაგება შეიძლება დილის 10—12 საათ. და საღ. 4-6 ს. ტფილისი, დუშეთის ქუჩა, სახ. № 9, წყნეთის ქუჩ. ახლოს, ტრამვაი №№ 5 და 9. 2710 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 5 თებერვალს 1918 საქმე გარდაცვალ. 3 ივნისს 1917 წ. მარიამ იგნატეს ასულის სკოროხოდოვის შინ. სასულ. ანდერძის დამტკიცების შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას. 2043 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 30 ივლის 1920 წ. საქმე გარდაცვალ. 19 ივლისს 1920 წ. 6 აგვისტოს ხანნა რთეხელ ლეიზერის ასულის სრრინასას ნოტარ. სასულ ანდერ. დაადგინა: სისრულეში მოყვანალ იქმნას. 2223 1—1

დაიკარგა ქუთაისის რეალური სასწავლებლის 1916 წ. დამთავრების ატესტატი და მოწმობა სამსონ პახომის ძე ასათიანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2664 3—3

მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან ტფილისის ცენტრალურ ფოსტის შენოგაში (პლეხანოვის პროსპ.)

გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის კურსები

სადაც ამზადებენ ფოსტა-ტელეგრაფის ყველა სპეციალობის მოხელეებს. კურსებზე მიიღება საქართველოს ყოველი ქართული ენის კარგათ მცოდნე მოქალაქე 18 წლიდან 25 წლამდე, რომელიც 15 სექტემბრამდე შემოიტანს თხოვნას ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში შემდეგი მოწმობებით: 1) განათლების (არა ნაკლებ უმაღლეს პირველ დაწყებით სისწავლებლის მთელი კურსისა), 2) დაბადების მეტრიკას, 3) ჯანმრთელობის (საერობო ან საქალაქო ექიმისაგან) და 4) ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი. კურსები და პრაქტიკული მეცადინეობა გაგრძელდება ერთი წელიწადი. მოწაფეებს მიეცემათ უწყების სტიპენდია თვითეულს თვეში 1000 მანეთი. მოწაფეები კურსების ლირსეულათ დამთავრებისათანავე ჩაირიცხებიან სახელმწიფო სამსახურში. 888 3—1

საქართველოს სახაზ. რკინის გზათა სამმართველო ამით აცხადებს

საყოველთაოდ, რომ ქვემოთ აღნიშნული ბარგი და უდოკუმენტო ტვირთი საჯაროდ გაიყიდება ცენტრალ საწყობში ამა წლის 18 სექტემბერს და თუ დანიშნულ ვადაზე არ გაიყიდა მაშინ ხელ მეორედ ვაჭრობა მოხდება სექტემბრის 20.ს.

ბარგი ტფილისიდან—შულავერში № 115944 რიგ. № 245—1 ფ. 15 გირ.; ფოთი—ახალსენაკი № 261313 რიგ. 242—15 გ.; ტფილისი—ახალ-სენაკი № 109231 რიგ. № 242 1 ფ., ბათუმიდან—ახალ სენაკში № 34116—1 ფ. 25 გ.; ბათუმიდან ახალ სენ. № 62055 რიგ. № 242—2 ფ., ფოთიდა № 88395 ახალ სენაკში რიგ. № 242—30 გირ., ფოთიდან № 88733 ახალ სენაკში რიგ. № 242—25 გირ.; ფოთიდან № 88218 ახალ სენაკი რიგ. № 242 3 ფ. 5 გ.; ტფილისიდან № 170428 რიგ. № 247 სალოღლი—6 ფ. 20 გ.; რეველიდან № 11619 ტფილისი რიგ. № 210—10 ფ.; ასტრახანიდან № 35650—ბათუმი რიგი. № 211—1 ფ. 17 გ.; რეჟიციდან № 906—ბრიანსკი რიგ. № 212—25 გირ.; სუფსიდან № 5424 ბორჯომი რიგ. № 203—18 გ.; ტფილისიდან № 114337 ბორჯომი 35 გ.; ფოთიდან № 87792 ბორჯომი 1 ფ.; ზესტაფონიდან № 61774 ბორჯომი რიგ. № 239—1 ფ. 30 გ.; ტფილისიდან № 1140—ბორჯომი რიგ. № 230—25 გ.; წაღვერიდან № 11687—ბორჯომი რიგი № 230—30 გ.; ქარელიდან № 23727—ბორჯომი რიგ. № 230—2 ფ. 5გ.; ქუთაისიდან № 51559—ბორჯომი რიგ. № 234 1 ფ. 35 გ.; ქობულეთიდან № 24029—ბორჯომი რიგ. № 235—4 ფ.; ქობულეთიდან № 24030 ბორჯომი რიგ. 235—4 ფ.; სურამიდან № 18937—საჩხერი რიგ. № 206—5 ფ. 32 გირ.; ბათუმიდან № 29911 ნიგოითი რიგ. № 187—3 ფ.; რიონი № 9482 ჯუმათი რიგ. № 204 1 ფ. 20 გირ.; ტფილისიდან № 109124 ნოტანები რიგ. № 219 8 ფ. 20 გირ.; ქუთაისიდან № 7949 ნოტანები რიგ. № 225—2 ფ. 15 გ.; ფოთიდან №88899. ნატანებიდან რიგ № 223 2 ფ. 15 გირ. ვანჭაბორჯომიდან № 9286 ნოტანები რიგ. № 199—2 ფ. 20 გ.; ქუთაისიდან № 482280 ნოტანები რიგ. № 198—1 ფ. 20 გ.; ბათუმიდან № 2398 ნოტანები რიგ. № 195—15 გ.; ტფილისიდან № 103111 ნოტანები რიგ. № 192—5 ფუთი 25 გ.; ბორჯმიოდან № 58957 ნოტანები რიგ. № 190—2 ფ. 10 გ.

უსაბუთო: აქტი სად. ნოტანების № 114 რიგ. 243 მაგიდა ფიცრის 1 ფ. 20 გირ.; აქტი სად. ფოთის № 22204 რიგ. № 30 ძველი საქმეების ჭალადები 50 ფ.; აქტი სად. ფოთის № 1232 რიგ. № 184 ხის ჯორკოები რიგ. 190 ფ.; ჭალადიდიდან № 9057 რიგ. № 146 სხვა და სხვა ნაწილი რკინეულობისა 48 ფ.; აქტი სად. ნოტანების № 110 რიგ. № 228 პალატკა 76 ფ., აქტი სად. ნოტანების № 275 რიგ. № 488 იზოლიატორი 29 ფ. 35 გ.; აქტი სად. ბორჯომის № 31 რიგ. № 236 ნაპოვნი საქონელი 35 გ.; აქტი სად. ხაშურის № 348 რიგ. № 244 ცარიელი ყუთები 6 ფ.; აქტი სად. ტფილისის № 2089 რიგ. № 226 სიმინდი 5 ფ. 35 გ.; აქტი სად. სანაინის № 125 რიგ. № 238 ქერი 2 ფ. 30 გ.; აქტი სად. ტფილისის № 2179 რიგ. № 231 ცარიელი ტომრები 3 ფ. 5 გ.; აქტი სად. ბორჯომის № 79 რიგ. № 185 სხვა და სხვა 51 ფ. 34 გ.; აქტი სად. სამტრედიის № 157 რიგ. ჯ 227 სხვა და სხვა 44 ფ. 15 გ.; აქტი სად. ნატანების № 109 რიგ. № 224 მავთული 3 ფ. 10 გ.; აქტი სად. ნატანების № 102 რიგ. № 201 ხის რეიკები 50 ფ. 20 გ.; აქტი სადგ. ნატანების № 102 რიგ. № 196 სხვა და სხვა 201 ფ.; აქტი სად. ნატანების № 98 რიგ. № 191 ღვინო 11 ფ.; აქტი სადგ. ნატანების № 91 რიგ. № 189 სახლის ავეჯი 1 ფ. 20 გ.; აქტი სად. ბათუმის № 106 რიგ. № 221 ნავი 52 ფ.; აქტი სად. ბათუმის № 117 რიგ. № 220 ქვის დასამტვრევი 500 ფ.; აქტი სად. რიონის № 1029 რიგ. № 116 გალიები 98 ფ., აქტი სად. ბათუმის № 101 რიგ. № 117 სხვა და სხვა 100 ფ.; აქტი სად. ბათუმის № 154 რიგ. № 117 სხვა და სხვა 310 ფუთი; აქტი სად. ტფილისის № 2369 რიგ. № 567 ფიცრები 35 ფ.; აქტი სად. ტფილისის № 2713 რიგ. № 641 წიგნები 11 ფ.; აქტი სად. სანაინის № 11038 ღუმელი რიგ. № 110—10 ფუთი 30 გირ.

883 3—3

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.